# სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 237113075 |
| რეგიონი | გურია |
| რაიონი | ოზურგეთი |
| მისამართი | ოზურგეთი, კოსტავას ქ. 90 |
| საფოსტო ინდექსი | 3500 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.gabrielisskola.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | guriamrevli@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | +995 496 273726 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | ვლადიმერ გორდელაძე (დეკანოზი მათე) |
| ტელეფონი | 599149404 |
| ელ-ფოსტა | guriamrevli@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 29 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 12 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | 201/4 |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | N 27. 26/08/2015. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 240 |

**დაწესებულება ახორციელებს**

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას □

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებr55w**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | ბრძანება N 441, 30.05.2018. |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | სერგო დურგლიშვილი - ჯგუფის თავმჯდომარე.<br>იანინა გიგიბერია - ჯგუფის წევრი |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 12 – 14 ივნისი, 2018 წელი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 03.07.2018 წელი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

### 1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია 2017 წლის 7 სექტემბერს პედაგოგიური კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე (პედაგოგიური საბჭოს ანალოგი) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ოქმი N1. 07.09.2018). სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• მისია;<br>• 2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი;<br>• საათობრივი ბადე;<br>• პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა;<br>• დღის რეჟიმი;<br>• გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;<br>• შეფასების სისტემა;<br>• კათედრების ჩამონათვალი და მათი მუშაობის პრინციპები;<br>• სადამრიგებლო პროგრამა;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების ჩამონათვალი; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | • შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით;<br>• შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები;<br>• ინკლუზიური განათლების პროგრამა.<br>სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, ერთი გამონაკლისის გარდა - პირველ კლასში მიმდინარე წელს არ ისწავლებოდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (**დანართი N1 -** სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათი). სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით 2017-2018 სასწავლო წლისათვის სპორტის არჩეული სახეობებია: კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი.<br>არჩევითი საგნებია:<br>X კლასში - XIX – XX საუკუნის დასავლური კულტურა;<br>XI კლასში - გეოგრაფიული კვლევა;<br>XII კლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში.<br>სკოლა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს ოთხ უცხოურ ენას: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული. სკოლაში მეორე უცხო ენის სწავლება იწყება მესამე კლასიდან. 2017-2018 სასწავლო წელს არჩეულ იქნა რუსული ენა. სკოლაში გრძელდება გერმანული ენის სწავლება მეორე ენად მე-6 და მე-9 კლასებში, ხოლო ფაკულტატურის სახით მე-7 და მე-8 კლასებში (მოსწავლეთა არჩევანით). ფრანგული ენის სწავლება გრძელდება ძირითად ენად მე-11 კლასში, ხოლო ფაკულტატურის სახით, მე-7 და მე- 8 კლასებში (მოსწავლეთა არჩევანით).<br>სკოლაში დამატებითი მომსახურება მიმდინარეობს ძირითადი საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ (მოსწავლეთა 20 წუთიანი შესვენების შუალედით).<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების სახით სკოლის მიერ შეთავაზებულია ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე მათემატიკის კვირეული საათების გაზრდილი რაოდენობა. სკოლამ წარმოადგინა ეროვნნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................................

| | |
|---|---|
| | დამატებითი მომსახურების სახით შეთავაზებული ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა, საიდანაც ჩანს, რომ მუშაობა მიმდინარებს მოსწავლეთა გააზრებული კითხვის უნარის განვითარებაზე. გასაუბრებით გამოვლინდა, რომ მათემატიკის დამატებითი საათები ემსახურება მიღებული ცოდნის განმტკიცებას და მათემატიკური წიგნიერების უნარის განვითარებას.<br>სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სწავლების სამივე საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს საგანს - ,,საღვთო სჯული", რომლისთვისაც გაწერილია საგნის სწავლების მიზნები, მისაღწევი შედეგები. აღნიშნულ საგანში არ იწერება ნიშანი. სკოლას, ასევე, პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეთათვის შეთავაზებული აქვს მოძღვრის საათი. გასაუბრებით გაირკვა, რომ მოძღვრის საათზე მიმდინარეობს საკვირაო სახარების განმატებითი საუბრები. |
| დადასტურება/დანართი | • დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა (07.09.2017);<br>• პედაგოგიური კოლეგიის გაფართოებული სხდომის ოქმი (ოქმი N 1. 07.09.2017);<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათი (დანართი N1, ერთ ფურცლად);<br>• კათედრების ოქმები;<br>• პედაგოგებთან გასაუბრება. |
| შეფასება | **დარღვეულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს თითოეული საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული თითოეული კათედრის წევრებს, ასევე კათედრებს შორის |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ურთიერთთანამშრომლობა. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია კათედრის ფუნქციები. კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილია საგნობრივი ჯგუფების სამუშაო გეგმები, თითოეული საგნის თემატური გეგმები, ასევე, კათედრების სხდომების ოქმები.<br>სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიური აღზრდის, უცხოური ენებისა და საღვთო სჯულის.<br>ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი ექვსი კათედრის პორტფოლიოში წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლავს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება, შეფასების რუბრიკა/სქემა, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი და რეკომენდაციები. შემაჯამებელ დავალებებს ერთვის გასწორებული ტესტის ნიმუშები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზების განხილვით და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სკოლის თითოეული პედაგოგი ზრუნავს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარის დადგენაზე, შესაბამისად, სუსტი მხარის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაზე.<br>სკოლაში დამრიგებლები მუშაობენ დებულების შესაბამისად. თითოეულ დამრიგებელს აქვს პორტფოლიო, რომელშიც ინახება სადამრიგებლო პროგრამა. აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო საათის დროს განსახილველი თემები, ასევე განხორციელებული შეხვედრების ოქმები.<br>სკოლა მოსწავლეებს აძლევს მრავალფეროვან არჩევანს და წრეების სახით სთავაზობს:<br>ქართული ხალხური საკრავების წრე;<br>ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების წრე;<br>ვოკალის წრე;<br>გობელინის წრე; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ქარგვის და ქსოვის წრე;<br>თოჯინების წრე (ამზადებენ თოჯინებს);<br>ქართული ხალხური ცეკვის წრე;<br>ჭადრაკის წრე.<br>ყოველივე ხელს უწყობს მათ მრავალმხრივ განვითარებას. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კათედრის დებულება;<br>• კათდრების პორტფოლიოები;<br>• პედაგოგთა პორტფოლიოები;<br>• პედაგოგებთან გასაუბრება;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• დამრიგებლების პორტფოლიოები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ზ" პუნქტი |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში ამჟამად სწავლობს 201 მოსწავლე, რომელთათვისაც შექმნილია სწავლისა და განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობა.<br>სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე. მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობით 3 მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა. მეოთხე სსსმ მოსწავლეს არ სჭირდება ინდივიდუალური სასწაავლო გეგმა, მას სჭირდება ადაპტირებული ფიზიკური გარემო (სარგებლობს ეტლით). |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| | მეორე კლასის მოსწავლეს აღენიშნება ქცევითი დარღვევები (აქვს მცირე აღგზნებადობის სინდრომის დიაგნოზი), უჭირს გაკვეთილზე გაჩერება და სასწავლო პროცესში ჩართვა. მშობელთან შეთანხმებას მიაღწიეს და ელოდებიან მულტიდიციპლინური გუნდის შეფასებას, რათა მისთვისაც შემუშავდეს ისგ. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინკლუზიური განათლების კონცეფცია;<br>• მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმები;<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• სპეცპედაგოგთან გასაუბრება და მისი პორტფოლიო;<br>• პედაგოგებთან გასაუბრება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი |

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლის პრინციპები და მიდგომები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები V-XII კლასებისათვის, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პირობები, გამოცდის ტიპები.<br>მოსწავლეთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას სკოლის შინაგანაწესისა და მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები;<br>• საკლასო ჟურნალები;<br>• პედაგოგებთან ინტერვიუ;<br>• მშობლებთან ინტერვიუ;<br>• მოსწავლეებთან ინტერვიუ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი |

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მშობლის ინფორმირების წესები. მშობელთან ურთიერთობის ფორმები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და დამრიგებლის დებულებით.<br>მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს ან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესი;<br>• დამრიგებლის დებულება;<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები;<br>• პედაგოგებთან ინტერვიუ;<br>• მშობლებთან ინტერვიუ;<br>• მოსწავლეებთან ინტერვიუ. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი |

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს შიდასაკოლო მონიტორინგის სამუშაო გეგმა, სადაც მოცემულია განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მონიტორინგის პერიოდები. სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია. ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. მონიტორინგის შედეგების, კათედრებისა და კლასის ხელმძღვანელების მიერ შესრულებული ანგარიშების გათვალისწინებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და გაუმჯობესება. |
| დადასტურება/დანართი | • კათედრებისა და კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშები;<br>• ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტი |

თანდართული დოკუმენტაცია:

| | |
|---|---|
| **დანართი N 1** | 1 (ერთი) ფურცლად |
| **დანართი N 2** | 8 (რვა) ფურცლად |
| **სულ დანართი - 2 (ორი)** | 9 (ცხრა) ფურცლად |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

## II. მატერიალური რესურსი

**2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:**

<table>
<tr><td>აღწერა</td><td>ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა ფუნქციონირებს ქ. ოზურგეთში, კოსტავას ქ. 90 - ში მდებარე ორ სართულიან შენობაში. (მიწის საკადასტრო კოდი N26.26.38.087). სკოლას საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 26.26.38.008) დაზუსტებული ფართობი 600.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 26.26.38.007 (10.09.2009).<br>გარდა ამისა, 2015 წლის 16 ივლისს სრულიად საქართველოს ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიისაგან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას 10 წლის ვადით გადაეცა მიწის ნაკვეთი, რომლის დაზუსტებული ფართობია 5669 კვ.მ. (რეესტრის ამონაწერის თანახმად). ნაკვეთის წინა ნომრებია: 26.26.38.023; 26.26.38.029; 26.26.38.004; 26.26.38.030; 26.26.35.019;<br>შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:<br>N1 - საერთო ფართი 869.4 კვ.მ., განაშენიანების ფართი 530 კვ.მ., სართულიანობა 2 - სასწავლო კორპუსი;<br>N2 - განაშენიანების ფართი 75.2 კვ.მ., სართულიანობა 1 - სასადილო;<br>N3 - განაშენიანების ფართი 70.4 კვ.მ., სართულიანობა 1- სველი წერტილები;<br>N4 - განაშენიანების ფართი 486 კვ.მ., საერთო ფართი 478 კვ.მ. სართულიანობა 1 - სპორტული დარბაზი.<br>სკოლის დირექტორის 2017 წლის 01 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულების თანახმად ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრეკლო სკოლამ 11 თვის ვადით შენობა N2 იჯარით გადასცა ი/მ მაგდა კუასელს (პ/ნ 33001059655).
<table>
<tr><th>№</th><th>მისამართი</th><th>კვ.მ.</th></tr>
<tr><td>1</td><td>ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 90</td><td>N1 - 869.4;<br>N2 - 75.2;<br>N3 - 70.4;<br>N4 – 478.</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი</td><td>26.26.38.087;<br>26.26.38.008.</td></tr>
<tr><td>დადასტურება/დანართი</td><td>• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;</td></tr>
</table>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;<br>• სკოლის დირექტორის 2017 წლის 01 ოქტომბრის ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულის 12 საკლასო ოთახში. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის 200 ინდივიდუალური მერხით, 29 ორადგილიანი მერხით, 236 სკამით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. ჯამში, სკოლას გააჩნია 229 მერხი და 236 სკამი. სკოლას ავტორიზაციის შედეგად (გადაწყვეტილების ნომერი: N27, 26/08/2015.) მინიჭებული აქვს უფლება 240 მოსწავლის მომსახურეობაზე.<br>სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო. სამასწავლებლოში გამოყოფილია სივრცე სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეებისა და ბუღალტერისათვის. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი);<br>• საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი. |

**გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში არის სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სპორტული დარბაზი (ცალკე შენობა, 478 კვ.მ.), რომელიც აღჭურვილია სათანადო სპორტული ინვენტარით: ჩოგბურთის მაგიდა, ღერძი, ბაგირი, ლეიბები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფები. სპორტულ დარბაზშია გასახდელი ოთახები ვაჟებისა და გოგონებისათვის და ორი სველი წერტილი. სკოლის ეზოში არის ორი ღია მოედანი: ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის. ამ ეტაპზე სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სპორტული ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას არა აქვს ცალკე გამოყოფილი ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაიყვანა სველი წერტილი ერთ-ერთ საკლასო ოთახში და ახალი სასწავლო წლის დასაწყისათვის გეგმავს კლას-ლაბორატორიის გაკეთებას შენობის პირველ სართულზე. ვიზიტის პერიოდში შეიძინეს ნიჟარა და საკლასო ოთახში დამონტაჟდა სველი წერტილი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

| | |
|---|---|
| | სკოლას აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობა და ქიმიური რეაქტივები (ამჟამად რეაქტივები ინახება დაცულ კარადაში, რომელიც სამასწავლებლოშია), რომელიც არ არის ზუსტი ასლი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 572-ე ბრძანებით განსაზღვრული სარეკომენდაციო ლაბორატორიული აღჭურვილობის. თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ არსებული აღჭურვილობითაც აღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს. |
| დადასტურება/დანართი | • შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა);<br>• ინტერვიურება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო, ელექტრო ენერგიის მიწოდების სისტემა, წყალმომარაგება. სკოლა არის "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და სს „ენერგო-პრო-ჯორჯია"-ს აბონენტი.<br>ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ოთახები თბება ცენტრალური გათბობის სისტემის მეშვეობით.<br>შენობის ეზოში კეთილმოწყობილია სველი წერტილები: ვაჟების 1 (6 კაბინა) და გოგონების 1 (6 კაბინა), მასწავლებლებისათვის 1 სველი წერტილი. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის, რომელსაც სჭირდება ადაპტირებული ფიზიკური გარემო. |
| დადასტურება/დანართი | • მოხმარებული ელექტრო ენერგიის, ბუნებრივი აირის და სასმელი წყლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მუშაობა რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით, შინაგანაწესითა და სამუშაო გეგმით. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია თემატურად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 12149 ერთეულისაგან, რომელიც მოიცავს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებსა და ატლასებს, ასევე მეთოდურ, რელიგიურ, მხატვრულ და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას ქართულ (9935 ერთეული) და რუსულ (2214 ერთეული) ენებზე.<br>ბიბლიოთეკაში წიგნებისა და სხვა ბეჭდური გამოცემების მონაცემები მთლიანად აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესით.<br>შემუშავებულია ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. |
| დადასტურება/დანართი | • ჩუქების აქტები; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | • ბიბლიოთეკის კატალოგი;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მოწყობილი აქვს ადაპტირებული გარემო. კერძოდ, ერთი სველი წერტილი და პანდუსები, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.<br>ამჟამად სკოლაში სწავლობს ოთხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სამი მოსწავლისათვის შემუშავებულია ისგ. მეოთხე არ საჭიროებს ისგ-ს, საჭიროებს ადაპტირებულ ფიზიკურ გარემოს (გადაადგილდება ეტლით). |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ფლობს 12 კომპიუტერსა და 2 ლეპტოპს, 1 მულტიფუნქციურ პრინტერს და 1 პროექტორს.<br>სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორტატორია, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ის ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და საატესტო გამოცდების სრულყოფილად წარმართვას. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში (ინტერნეტის მომწოდებელია კომპანია - შპს „ეარნეტი").<br>10 კომპიუტერი და 2 ლეპტოპი განკუთვნილია სასწავლო პროცესისათვის; 2 კომპიუტერი - სკოლის მართვისათვის.<br>სკოლის სარგებლობაშია ვებ-გვერდი (www.gabrielisskola.ge), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. |
| დადასტურება/დანართი | • სასაქონლო ზედნადები;<br>• საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები;<br>• სკოლის ვებგვერდი - www.gabrielisskola.ge;<br>• საგადასახადო დავალებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |

**2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დაფა, ხელკაპი, ორი ცეცხლმაქრი, ორი ვარცლი, ლომი). სკოლა აღჭურვილია საევაკუაციო გეგმითა (დამზადებულია სპეციალური სამსახურის მიერ) და ცეცხლმაქრით (2 ცალი). შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები.<br>სკოლაში შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, რომელიც ცნობილია ყველა თანამშრომლისა და მოსწავლისათვის. ცალკე დოკუმენტადაა გაწერილი სახანძრო უსაფთხოების ინსტრუქცია და გადანაწილებულია ფუნქციები სკოლის თანამშრომლებს შორის. |
| დადასტურება/დანართი | • ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტაცია;<br>• საევაკუაციო გეგმების დამზადების დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიურება;<br>• დოკმენტი: „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხნძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი. |

ზ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის დერეფნებში თვალსაჩინოდ, ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• საევაკუაციო გეგმების დამზადების დოკუმენტაცია. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მუშაობს ექიმი. არის სამედიცინო კუთხე (ბიბლიოთეკაში), რომელიც აღჭურვილია პრეპარატებითა და სამედიცინო ინვენტარით პირველადი დახმარებისათვის, შემუშავებულია და გაწერილი სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც წარმოდგენილია მისი უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სპეციალურ ჟურნალში აღრიცხულია მოსწავლეთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისა და დაავადებების შემთხვევები. |
| დადასტურება/დანართი | • ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქციით;<br>• საშტატო განრიგით;<br>• სამედიცინო კაბინეტის დებულებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი. |

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულება მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. კერძოდ, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შექმნილია საგანგებო შტაბი. |
| დადასტურება/დანართი | • დოკუმენტით „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლაში საგანგებო შტაბისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 03 ოქტომბრის ბრძანება N87;<br>• საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტი. |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლას შეძენილი აქვს 7 უსაფთხოების ვიდეო კამერა (3 ცალი შენობის შიდა, 3 შენობის გარე პერიმეტრის; 1 კამერა არ არის მუშა მდგომარეობაში). კამერები აკონტროლებს შენობის ორივე სართულს და გარე პერიმეტრის ნაწილს. არც ერთი კამერა არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.)<br>2018 წლის 12 ივნისს სკოლამ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „დიჯიტალ სერვისთან“ 5 ვიდეოკამერის შესაძენად, ხუთივე კამერა დააკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................



მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ადმინისტრაცია გეგმავს კამერების დამონტაჟებას მ/წ სექტემბრის ბოლომდე. (**დანართი N2** - სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტება, ვიდეოკამერების ტექნიკური დოკუმენტაცია, კამერების შესყიდვის საბანკო გადარიცხვა). |
| დადასტურება/დანართი | • კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებება;<br>• სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტება, ვიდეოკამერების ტექნიკური დოკუმენტაცია, კამერების შესყიდვის საბანკო გადარიცხვა. (დანართი N2 , რვა ფურცლად));<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნა. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება (რეგისტრაციის თარიღი 04.01.2010 წელი), სკოლის დებულება (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 1-1043, 03.12.2003 წელი) შინაგანაწესი (დამტკიცებულია 2016 წლის 16 აპრილს პედაგოგიური კოლეგიის გაფართოებული N4 სხდომის მიერ). დამტკიცებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის წესდება;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................

| | |
|---|---|
| | • საგნობრივი კათედრების დებულება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• სამედიცინო კაბინეტის დებულება;<br>• თანამდებობრივი ინსტრუქციები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

**2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს. კერძოდ: სასწავლო პროცესისათვის მომზადებას, სასწავლო აღმზრდელობითი და პროფესიული საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზებას, სამეურნეო-საკომუნიკაციო საქმიანობას. ასევე, ხარისხის მართვის ინდიკატორებს, ღონისძიებებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს.<br>სკოლის განვითარების გრძელვადიან გეგმაში (6 წელი) არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, მკაფიოდაა გამოკვეთილი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.<br>სკოლას გაკეთებული აქვს SWOT ანალიზი. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის SWOT ანალიზი;<br>• 2017-2018 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................



მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით. კერძოდ: ბრძანებების წიგნი (თანამშრომლების ბრძანებებისათვის და მოსწავლეთათვის), გასული და შემოსული კორესპონდენციების წიგნები (ცალ-ცალკე), მშობლებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნი, სპეციალურ საქაღალდეებში ინახება ბრძანებები, ოქმები, შემოსული და გასული კორესპოდენციები, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალები გასული კორესპონდენციის ჟურნალი). საქმისმწარმოებელთან ინახება თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, ასევე, სხვა სახის დოკუმენტები. |
| დადასტურება/დანართი | • ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები;<br>• მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 29 პედაგოგი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სკოლის ძირითადი და დამხმარე პერსონალია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, საქმისმწარმოებელი, მნე, IT-მენეჯერი, თავისუფალი დროის მენეჯერი, კურატორი, ექიმი, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• E-school-ის მონაცემები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• დირექციისა და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი. |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში დასაქმებულია 29 პედაგოგი, მათგან 12 უფროსი მასწავლებელი, ხოლო 17 - პრაქტიკოსი. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• E-School ბაზა; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით. |

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესი;<br>• გასაუბრება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას მასწავლებლებთან, დამხმარე მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან, ასევე, დირექციასთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. სკოლის დირექტორის N9, 2018 წლის 09 მარტის ბრძანებით განისაზღვრა შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. |
| დადასტურება/დანართი | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• სკოლის დირექტორის ბრძაბება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით. |

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მიმართულებები და მექანიზმები. სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .................................

| | |
|---|---|
| | კათედრის სხდომებზე განიხილება ურთიერთ თანამშრომლობის საკითხები, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა;<br>• მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება;<br>• მასწავლებლის შეფასების საქმიანობის გეგმა;<br>• კათედრის ჟურნალები;<br>• შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>• ურთიერთდასწრების გრაფიკით და შეფასებებით; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | ინტერვიურებით (მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან) დასტურდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>მოსწავლეები სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ კეთილგანწყობილ გარემოს, მეგობრულ ურთიერთობებს მოსწავლეთა შორის. მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში მოსწავლეები-სადმი ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენება. პედაგოგები გამოირჩევიან მზრუნველობით და ყურადღებით.<br>სკოლაში ხშირად ტარდება გასართობი და საგანმანათლებლო ღონისძებები. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიუები;<br>• ფოტო-მასალა;<br>• სკოლის ვებ-გვერდი.<br>• სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................